საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 2013 წ. 18 მარტი

დადგენილება № 04-01/18

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 53 - 56-ე მუხლების, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანების, „უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი“ თანახმად № 1 დანართისა;
2. დამტკიცდეს ,,სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომის, დანართისა და დუბლიკატის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალის ფორმა“, თანახმად №2 დანართისა;
3. დამტკიცდეს გამოსაყენებლად უვარგისი დოკუმენტების ჩამოწერის აქტის ფორმა, თანახმად №3 დანართისა;
4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 15 დეკემბრის № 90 დადგენილება „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“.
5. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
6. დადგენილება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ხელოვნების უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
7. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთნავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია